

გურამ ლორთქიფანიძე,

ქართლის (იბერია) სამეფოს „რომანიზაციის“

კულტუროლოგიური ასპექტები (I-III სს.)

ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროების იბერია, ქართლის სამეფო ახ. წ. I-III სს-ში თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, რომის იმპერიის Pax Romana“-ს (სურ.1) სტრატეგიული ინტერესების სფეროში მოექცა. აღნიშნული გარემოება კარგად აისახა რომაულ გვიანანტიკური ხანის სამხედრო რუკებზე. იბერიაზე გადიოდა „აბრეშუმის გზის“ მნიშვნელოვანი სავაჭრო კომუნიკაციების გზაჯვარედინები (სურ.2). მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კეთილმოწყობა რომის იმპერიის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ინტერესებში შედიოდა. გარდა ამისა, რომის სენატის მიერ ოფიციალურად „რომაელი ხალხისა და კეისრის მეგობრად“ სახელდებული იბერები მოწოდებულნი იყვნენ უზრუნველყოთ იმპერიის საზღვრების შორეული მისაღვომების უსაფრთხოება; გამოეყვანათ დამხმარე ჯარები და ჩაეკეტათ ჩრდილოკავკასიის უღელტეხილები ნომადების შემოსევებისაგან (Tac., Annales, VI, 33-35; Flav. Iosephus, Antiquitates Iudaicae, XVIII, 4, 4; Dion Cassius, Historia Romana, LXIX,15, 1-2;...), რაც მნიშვნელოვან მატერიალურ ხარჯებს, თავდაცვითი ნაგებობების აღდგენა-მშენებლობებს მოითხოვდა.

აღნიშნული თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია ბიზანტიელი ავტორების იოანე ლიდესა (ბერძნ. Ἰωάννης Λαυρέντιος ὁ Λυδός, ლათ. Joannes Laurentius Lydus VI ს.) და თემისტოსის (ბერძნ. Θεμιστιος, ლათ. Themistios, IV ს.) ხელთ არსებული რომაული ცნობები, რომელთა თანახმადაც ახ. წ. 135 წელს დარიალის ხეობა, იგივე „კავკასიის კარი“ (ბერძნ. Κάσπια πύλαι), ეს სტრატეგიული უღელტეხილი, სადაც როგორც ჩანს, ქართულ ჯართან ერთად რომაული ლეგიონის ქვედანაყოფები, ვექსილაციები იდგა, მოუნახულებია რომის „პროვინცია კაპადოკიის“ მმართველს, სამხედრო ლეგატს პროპრეტორის თანამდებობით ფლავიუს არიანეს (Joannes Lydus, De Magistr., 3,53) (სურ. 3) [11: 282-289]. ჩვენი აზრით, ეს უნდა მომხდარიყო ალანებთან 135 წლის ლაშქრობამდე რამდენიმე წლით ადრე და არა უშუალოდ საომარი ოპერაციების დროს.

მან მანმადე 131 წელს შეამოწმა კოლხეთში დისლოცირებული რომაული ლეგიონების საბრძოლო მზადყოფნა (Fl. Arr., PPE, 6-16). ცხადია, არიანეს ადრიანეს (ლათ. Publius Aelius Traianus Hadrianus 117-138 წწ.) ბრძანებით იბერიაში ჩამოსვლა მხოლოდ ქართლის მეფის ფარსმან II-ის ნებართვით შეეძლო. იბერია,

იმ დროისათვის, რომის იმპერიის მფარველობის ქვეშ (cliente – პატრონატი) იმყოფებოდა. ადრიანეს მმართველობის პერიოდში ურთიერთობა ფარსმან II-სთან საკმაოდ დაძაბული ყოფილა. ამ უკანასკნელის სეპარატისტული ქმედებების გამო. ფარსმან II-ემ ტახტზე ასვლისთანავე განაცხადა პრეტენზიები რომის პროტექტორატის ქვეშ მყოფ მეზობელ ტერიტორიებზე.

ადრიანე ცდილობდა რა ურთიერთობის დალაგებას საჩუქრები გაუგზავნა ფარსმანს. ელიუს სპარტიანუსი (Aelius Spartianus) აღწერს, თუ რა დიდძალ საჩუქრებს უგზავნიდა ადრიანე მოკავშირე, ანუ „კლიენტ“ მეფეებს. მაგრამ იგი აღნიშნავს, რომ არავისთვის მიუცია იმაზე მეტი, რაც იბერთა მეფეს უბოძა. მდიდრულ ძღვენთან ერთად მან ფარსმანს მისცა საბრძოლო სპილო და ხუთასკაციანი კოჰორტა (SHA. Vita Hadr., XVII, 11,12, XXI,13). უნდა ვიფიქროთ, რომ რომაული ვექსილაცია სწორედ დარიალის მისადგომებს იცავდა [3].

ფარსმან II-ემ ქედმაღლურად შეუთვალა უარი კეისარს წვეოდა კაპადოკიაში, სადაც რომის ორი XII და XV ლეგიონის შტაბბინა მდებარეობდა (SHA. Ael. Sp. Vita Hadr., XIII,9). ასეთ ვითარებაში ადრიანემ საჭიროდ ჩათვალა დიპლომატიური მისიით მცხეთაში გამოეგზავნა ფლავიუს არიანე – მეფის ნაცვალთა კაპადოკიაში, რომელიც გ. მელიქიშვილის აზრით, უშედეგოდ დამთავრდა [10: 322]. ელიუს სპარტიანუსის მიხედვით, ფარსმანმა მიიღო ადრეანეს საჩუქრები და თვითონაც გაუგზავნა ძვირფასი მოსასხამები. ადრიანემ მიიღო რა ფარსმანისაგან ძღვენი დამამცირებლად მოიქცა. მოსასხამები სამას გლადიატორს ჩააცვეს და ასე შეარკინა ისინი ერთმანეთს (SHA. Ael. Sp. Vita Hadr., XVII, 11-12).

განრისხებული ფარსმან II შეიჭრა რომის სამფლობელოდ აღიარებულ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, დაიქვემდებარა ძიდრიტთა ტომი და რომის ინტერესთა საწინააღმდეგოდ მოიპოვა გასასვლელი შავი ზღვის სანაპიროზე (Flavius Arrianus, Periplus Ponti Euxini, 11). დიონ კასიოსი (160-235 წწ.) გვიამბობს თუ რა ეფექტურად იყენებდა იბერიის მეფე ფარსმანი თავისი ქვეყნის მარჯვე მდებარეობას (Dion Cassius, Historia Romana, LXIX,15, 1-2).

ანტონინუს პიუსის (Antoninus Titus Aurelius Fulvus Pius 138-161 წწ.) დროს იბერიასა და რომს შორის ურთიერთობა დარეგულირდა. ფარსმან II მიწვეული იყო კიდევ ოჯახით რომში, გაფორმდა რომსა და იბერიას შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება, იმპერატორის ბრძანებით, მარსის მოედანზე ფარსმანის ცხენზეამხედრებული ქანდაკება დადგეს... (Dion Cassius, Historia Romana, LXX, 2,3).

როგორც რომი, ისე პართია (სასანიანთა ირანი) ცდილობდა საკუთარი ცხოვრების წესის, მათ შორის კულტურული გავლენის, განათლების დამკვიდრებას ქართლის სამეფოში. უფრო ზუსტად, სამეფო კარსა და ნობილიტეტში. იმ სოციალურ, ჯგუფებში, რომლითაც სახელმწიფოს მართავდა. იდეოლოგიური ექსპანცია მნიშვნელოვან იარაღად იქცა. დ. ბრაუნდის სიტყვებით, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ „იბერიის ელიტა“ რომაული სამყაროს ნაწილად მიაჩნდა თავი [3: 331].

„რომანიზაცია“ – ლათინური ენისა და კულტურის გავრცელება, რომელსაც რომი დაპყრობილ ტერიტორიებზე ეწეოდა თავდაპირველად ნაკლებად შეეხო რომის აღმოსავლეთ პროვინციებს. მან უფრო ინტენსიურად იმპერიის დასავლეთ ტერიტორიებზე (აპენინები, პირეი, გალია...) მიაღწია. რომის ჩრდილოეთ რეგიონებსა და მათ პერიფერიებში კი იგი უფრო შენელებული იყო. „რომანიზაციის“ ეს პროცესი შედარებით სწრაფად მიმდინარეობდა ბრიტანეთში. როგორც ჩანს, რომანიზაციის პროცესები მიმდინარეობდა ქართლში [5: 90-95].

სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, რომი ყველანაირად ცდილობდა რაც შეიძლება ძლიერი სოციალური დასაყრდენი ჰქონოდა ახალ პროვინციებსა და მეზობელ კლიენტ ქვეყნებში. აფართოვებდა რა რომის მოქალაქეთა (Civitas Romana) რიცხვს. ჯერ კიდევ ძვ. წ. 49-45 წლებში იულიუს კეისარმა რომის მოქალაქეობა უბოძა ციზალპური გალიის მცხოვრებლებს. მოგვიანებით რომის მოქალაქეები გახდნენ ბეტიკისა და ნარბონის გალიის მცხოვრებნი. კლავდიუსმა ლუგუნდუმის გალიის, ხოლო ნერონმა აქაიის მკვიდრნი დააჯილდოვა რომის მოქალაქეობის სტატუსით. საბოლოოდ 212 წელის კარაკალას ედიქტით (Konstitutio Antoniana), რომელიც რომაული სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ბაზის გაფართოვებისკენ იყო მიმართული, რომის მოქალაქეობა იმპერიაში მცხოვრებმა ყველა თავისუფალმა მამაკაცმა მიიღო. ცნობილია, რომ ამ კანონმა V საუკუნემდე იარსება!

რომის უმაღლესი სოციალური და იურდიული სტატუსი – რომის მოქალაქეობა (Civitas Romana), რომელიც მის მფლობელს იმპერიაში არსებული ყველა იურდიული უფლებით სარგებლობის შესძლებლობას აძლევდა შეიძლება მიეღო: 1. რომის კანონებით ქორწინებაში მყოფი (რომის მოქალაქე) ქალისა და მამაკაცის შვილს. რომის კანონებით ქორწინებაში არმყოფი (რომის მოქალაქე) ქალისა და მამაკაცის შვილი რომის მოქალაქედ არ ითვლებოდა...; 2. რომის მოქალაქის მიერ გათავისუფლებულ მონას; 3. რომის მოქალაქის მიერ ნაშვილებ უცხოელს; 4. სახელმწიფოს მიერ ცალკეულ პირებზე, თემებზე, პროვინციებზე

განსაკუთრებული ბრძანებით (აქტით) ბოძებული მოქალაქეობა. ეს მიზანმიმართული „რომანიზაციის“ პროცესი ვრცელდებოდა არა მარტო რომის პროვინციებში, არამედ იმპერიისათვის სტრატეგიული დანიშნულების მქონე მეზობელ კლიენტ ქვეყნებშიც [13: 5-9].

წერილობითი წყაროები და საქართველოში უკანასკნელ წლებში გამოვლენილი არქეოლოგიური არტექვაქტები გვიჩვენებენ თუ რა მაღალ დონეს მიაღწია I-III სს-ში ქართლის მმართველი წრეების რომაულ სამყაროსთან ურთიერთობამ. მათ მჭიდრო, შესაძლოა დინასტიური კავშირები გააჩნდათ რომის ნობილიტეტთან. რომაული ქალაქდაგეგმარების პრინციპების საფუძველზეა აგებული პტოლემეაიოსთან (Geographike Hyphegesis) მოხსენიებული ქალაქი ძალისა, მცხეთასთან მუხრანის ველზე. აქ გამოვლენილია ატრიუმისანი სასახლის კომპლექსი, ტაძარი, მოზაიკიანი რომაული თერმები საცურაო აუზით, ტყვიის წყალგაყვანილობის ქსელი, ტიპური საღვთისთავო ეკლესიები და ციტადელი. მთელ ქართლში ვრცელდება რომაული წარმოშობის ფუფუნებისა და მასობრივი მოხმარების სახელოსნო ნაწარმი, ძვირფასი ლითონის სუფრის ჭურჭელი. მათ შორისაა რელიგიური საწესო დანიშნულების საგნები პატერები და სურები, საიუველირო ნაწარმი, სამკაულები და სხვ. ქართლში მიმოქცევაში იყო რომაული ვერცხლის (დენარები) და ოქროს (აურეუსები) მონეტები. გვხვდება მათი ადგილობრივი მინაბადები. რომის იმპერატორები ქართლის მეფეებსა და მმართველი ელიტის წარმომადგენლებს ხშირად ძვირფასი საჩუქრებით ახალისებდნენ. ასეთი ძვირფასი საიმპერატორო კარის საჩუქრები ცნობილია ზღუდერის, არმაზისხევის, სამთავროს და ბაგინეთის სამარხებიდან. არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ ახ. წ. I-III სს-ში განათლების დონე იბერიაში საკმაოდ მაღალი ყოფილა. საწერი მოწყობილობები, ბრინჯაოს, ვერცხლის და ოქროს სამეღნეები, მათ შორის რომში კალპურნიუსის ცნობილი სახელოსნოს ნაწარმი სამთავროს სამაროვანზეა აღმოჩენილი.

არმაზისხევის ბერსუმა პიტიახშის № 3 აკლდამაში (ახ. წ. II ს.) დაფიქსირებული ვერცხლის დიდ ლანგარზე არსებული ბერძნული ასომთავრული წარწერა გვამცნობს: „მე მეფე ფლავიუს დადესმა ვაჩუქე ბერსუმა პიტიახშს“ [7: 35]. თუ ვინ იყო მეფე ფლავიუს დადესი სხვა წყაროებით ცნობილი არ არის. ნათელია, რომ მას რაღაც განსაკუთრებული სამხედრო დამსახურებისათვის რომის მოქალაქის საპატიო წოდება მიუღია, რაც უნდა მომხდარიყო ფლავიუსების ზეობის ხანაში (69-96 წწ.). თავისი ეს საგვარეულო სახელი, ანუ „ნომენი“ შესაძლოა მას მიეღო იმპერატორ ვესპასიანეს (69-79 წწ.)

მემკვიდრეების დროს. ამაზე მიგვანიშნებს ის გარემოებაც, რომ მცხეთაში აღმოჩენილ ახ. წ. 75 წლით დათარიღებულ ცნობილ ვესპასიანეს წარწერაში რომაელი ხალხისა და კეისრის მოყვარულებათ მოიხსენიებიან: მითრიდატე, ფარსმანი და მისი ძე ამაზასპი [5:70]. ის რომ რომის იმპერატორები არ იშურებდნენ სახსრებს ქართლის ნობილიტეტის, სამეფო კარის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად არქეოლოგიური აღმოჩენებითაც დასტურდება. ანალოგიურ პოლიტიკას რომაელები ატარებდნენ ჩრდილო შავიზღვისპირეთის ქალაქ-სახელმწიფოებში, ყირიმში, სადაც არაერთი ანალოგიური შემთხვევაა დაფიქსირებული II ს-ში ადგილობრივი არისტოკრატის წარმომადგენლებისათვის რომის მოქალაქის (Civitas Romana) წოდების მინიჭებისა ფლავიუსების მიერ [8: 57-75]. განსაკუთრებით სამხედრო დამსახურებისათვის.

ქარელის გარეუბანში აღმოჩენილია 190-250 წწ-ით დათარიღებული სარკოფაგი მდიდარი დასაკრძალავი ინვენტარით, რომელშიც დაფიქსირდა საიმპერატორო ძღვენის ნაწილი, რომაული ვერცხლისა და ოქროს მონეტები, ბერძნულწარწერიანი ძვირფასი სამკაულები და სხვ. სპეციალისტების აზრით, აკლდამის ინვენტარიდან გამომდინარე რაიმე პართულ-ირანული გავლენა არ ჩანს. მრავალრიცხოვან ვერცხლის რომაულ მონეტებს შორი მხოლოდ 5 პართული მონეტაა. ძვირფას ნივთებს შორისაა რომის იმპერატორების ნაწყალობევიც – მათი პორტრეტული გამოსახულებიანი გულსაკიდები, ბეჭდები, ვერცხლის სუფრის ჭურჭელი, იშვიათო ოქროს მონეტები [4: 18, 27]. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ზღუდერის ერისთავებს“ შორის, ისევე როგორც მცხეთის სამეფო კარის შორის იყვნენ ქართველი მხედრები, რომელთა დეაწლიც სათანადოდ იყო დაფასებული. რომაული ოქრომჭედლობის ტრადიციებით შესრულებული ბავშვისა და ქალის გამოსახულებები ძვირფასი ხელოსნური ნაწარმი აღმოჩენილია მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე (სამარხი №905), მასში ასევე რომანიზებული იბერიელი დიდებული უნდა ყოფილიყო დაკრძალული. მისი სამარხეული ინვენტარიც გამოირჩევა რომაული ნაწარმის ფუფუნების საგნების სიუხვით [1: 22-23. ტაბ. XXXIIვ].

2001 წელს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან დაფიქსირებულ მდიდრულ აკლდამაში (სამარხი №14) (სურ.4), რომელიც ახ. წ. III საუკუნით დათარიღდა [2: 81-123; 14: 104-121] აღმოჩნდა ოქროს ბეჭედი მოწითალო სარდიონის გემით (სურ.5). თვალზე ამოკვეთილია ქალის მკერდზედა გამოსახულება – მარცხენა პროფილი. მას გარშემოუყვება ბერძნული მთავრული ნეგატიური წარწერა: ΒΑΧΙΑΙΚΚΑ ΟΥΛΙΑΝΕΙΑ.

„დედოფალი ულპია მბრძანებელი“ [7: 124-129]. ბეჭედი გულადმა, გამოტილ მიცვალებულ ქალბატონს მარცხენა ხელის ფალანგაზე ეკეთა. აკლდამა ეჭვგარეშეა, იბერიის სამეფო კარის ოჯახის წარმომადგენელ ქალბატონს ეკუთვნის (სურ. 6). ანთროპოლოგმა მზია რჩეულიშვილმა დაადგინა, რომ მისი ასაკი ორმოსდაათ წელს აღემატებოდა. ჩონჩხის სიგრძე 1,60 მ-ია. ის დაუწვევიათ ზურგზე, გამოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისკენ. ისევე როგორც იკრძალებოდნენ იმ დროს მცხეთაში, ოღონდ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით. მიცვალებულს გადაშლილი აქვს ბარძაყისა და წვივის ძვლები, ხოლო ტერფის ქუსლები ერთმანეთთან მიტყუპებული აქვს. შესაძლოა ეს დეტალი მის ეთნიკურ, კერძოდ, ჩრდილოკავკასიურ წარმომავლობაზე მეტყველებდეს. ის რომ სამეფო გვარის წარმომადგენელი ქალბატონი განათლებული ყოფილა მოწმობს ჩვენში პირველად აღმოჩენილი საწერი მოწყობილობის მთელი კონპლექტი: 1) ბრინჯაოს (სარკე) „ტაბულა“ (Tabula) 31,3 სმX27 სმ, სიგრძე 3-4 სმ. ოქროს სამელნე თავის წკირებით (სტილოსები), რომლებიც ვერცხლის მოოქროვილ ბუდეში იდო. თავად „პენალს“ ამშვენებდა ოქროს ჭვირული ბალთა ბერძნული წარწერით „ბასილეოს (მეფე) უსტამოს ეგგენიოსისა“ (სურ. 7). უსტამოს ეგგენიოსი, როგორც ჩანს, კიდევ ერთი უცნობი რომის მოქალაქე იბერიის მეფეა. ხოლო რაც შეეხება დაკრძალულ დიდებულ ქალბატონს, ისიც დაახლოებული ყოფილა რომის საიმპერატორო კართან, რადგან ატარებდა იმპერატორ ავრელიანეს (270-275 წწ.) მეუღლის, დედოფალ ულპია სევერინას მიერ ნაბოძებ პირად ოქროს 10 გრამიან ბეჭედ-საბეჭდავს!

ულპია სევერინა (ლათ. Ulpia Severina) თავისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ტაციტუსის (275-276 წწ.) გაიმპერატორებამდე, რამდენიმე თვის მანძილზე მართავდა ქვეყანას. აღნიშნული ქალბატონის შესახებ ცნობები მხოლოდ ნუმიზმატიკური და ეპიგრაფიკული ძეგლებიდან მოგვეპოვება [17] (სურ.8). ულპია სევერინას მამა შესაძლოა ავგუსტუსების ისტორიიდან ცნობლი ულპიუს კრინიტუსი (ლათ. Ulpus Crinitus) იყო, რომლის მიხედვითაც იგი, თითქოს იმპერატორ ტრაიანეს შთამომავალად ითვლებოდა.

იმპერატორად გახდომის შემდეგ, ავრელიანემ მას ჩანს პირადი ღირსების გამო ავგუსტას, სამხედრო ბანაკების, სენატისა და სამშობლოს დედის – mater castrorum et senatus et patria – ტიტული უბოძა, ესწოდება სევერუსებიდან მოყოლებული იმპერატორების მეუღლეებს ენიჭებოდათ. როგორც წესი, ულპია სევერინა მონეტებზე მის მეუღლესთან ავრელიანესთან ერთად გამოისახებოდა. ლეგენდა SEVERINA AVG(usta) შენარჩუნებულია ტაციტუსის გაიმპერტორებამდე.

შემდეგ ავრელიანე უკვე აღარ მოიხსენიება, ულპიას მიერ მოჭრილი მონეტები უკვე სხვა ლეგენდით იჭრება – CONCORDIA MILITUM. აქედან გამომდინარე, მეცნიერთა ნაწილი არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ულპია სევერინა იმპერიას მართავდა, რამდენიმე თვე. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არმიაში და სწორედ მისი დამსახურება იყო იმპერიის ლეგიონებში არსებული სიმშვიდე ტაციტუსის გაიმპერატორებამდე [16: 29-30]. რომში მოჭრილ ერთ-ერთ მონეტაზე ულპია სევერინა გამოსახულია თავზე დიადემით, მონეტის რევერსზე არის წარწერა VENUS FELIX, ხოლო მეორეზე იგი იუნონა რეგინას სახით არის წარმოდგენილი [13: 127]. გამოდის, რომ ულპია სევერინა იყო ერთადერთი ქალი, რომელიც რომის იმპარიას მართავდა.

მცხეთის აღწერილი №14 სამარხი განსაკუთრებული სიმდიდრითა და დასაკრძალავი ინვენტარის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აღსანიშნავია მონეტა-საკიდები ოქროსი ფაუსტინასა და ლუცილას გამოსახულებით, ლუცილას (164-183 წწ.) ოქროს აურეუსი მოჭრილია რომში. საკიდი ოქროსი, ოვალურ ჩარჩოში ჩასმულია ქალის პორტრეტული გამოსახულებიანი ქალცედონის ბიუსტი, გრძელი ოქროს ყელსაბამით შემკული. ქალს დანაოჭებული რომაული სამოსი აცვია (სურ.9). საკიდი ოქროსი (ორი ცალი), ოვალური ცრუგრეხილით შედგენილ, ძირგახსნილ, ყუნწიან ბუდეში ჩასმულია სარდიონისაგან დამზადებული ბავშვის პორტრეტული ბიუსტი (სურ.10), რომელსაც ოქროს ყელსაბამი აქვს შებმული. ეს ძვირფასი ნივთები რომთან ახლო კავშირის მახვენებელია.

ამა თუ იმ კულტურის ექსპანსიის პერიოდში განსაკუთრებული ადგილი ენიჭება ოფიციალურ იდეოლოგიას. კერძოდ, რელიგიის პროპაგანდას. გამონაკლისს არც „რომანიზაციის“ პროცესი წარმოადგენდა. დგინდება, რომ ქართლში გავრცელებულია ბერძნულ-რომაული წარმართული პანთეონი. ისეთი ღვთაებები როგორცაა ათენა, აფროდიტე (ვენერა), დემეტრა, არესი-მარსი, ნიკე, ტიხე-ფორტუნა და სხვა. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული ღვთაებების გამოსახულებები მნიშვნელოვანწილად გლიპტიკის ნიმუშებზე გვხვდება. გლიპტიკური ძეგლები კი ნივთიერი კულტურის ის მხარეა, რომელიც საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ კონკრეტული პიროვნების რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე. კვლევის შედეგად დგინდება, რომ ბერძნულ-რომაული ღმერთები ერთნაირი რაოდენობით არ არ არის წარმოდგენილი. უფრო პოპულარობით სარგებლობენ ისეთი ღვთაებები როგორცაა ათენა, ტიხე-ფორტუნა, რასაც ვერ ვიტყვით აფროდიტეზე, რომელიც აგუსტუსის

რელიგიური რეფორმიდან მოყოლებული, მარსთან ერთად რომაელი ხალხის წინაპრებად იყო მიჩნეული და დიდი პოპულარობით სარგებლობდა რომის აღმოსავლეთ პროვინციებშიც [6: 20-30]. ამ დროისათვის აქტიურდება პართულ-სასანიური ირანის იდეოლოგიური ექსპანსია.

III ს-ის მეორე ნახევარში სასანიანთა ირანში მთავარ სახელმწიფო მოძღვრებად ცეცხლთაყვანიძეობა-ზოროასტრიზმი იქცა. რომში იდეოლოგიის ერთ-ერთ მთავარ ძალას მითრას კულტთან ერთად ქრისტიანობა წარმოადგენდა, რომელიც სულ უფრო და უფრო იკრეფდა მომხრეებს. ნიშანდობლივია, რომ III ს. ქრისტიანობის აღზევების პერიოდს წარმოადგენს არა მხოლოდ რომის იმპერიაში, არამედ სასანიანთა ირანშიც, სადაც აღნიშნული პერიოდისათვის უკვე არსებობდა ძლიერი ქრისტიანული თემები (მესინა, სუზი, რევ-არდაშირი, შად-შაბური ბაჰრეინი, ბეჰ-შაბური, ანტიოქ-შაბური...) [9: 70-71].

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ III ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც რომში დაიწყო ქრისტიანთა ოფიციალური დევნა, პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, სასანიანთა ირანი არა თუ დევნიდა ქრისტიანებს, არამედ რომის იმპერიიდან გამოქცეულ ახალი მონოთეისტური რელიგიის წარმომადგენლებსაც იფარებდა. ის რაც იდევნებოდა ირანისადმი წინააღმდეგ საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში, მისაღები იყო მისთვის და პირიქით. მაგალითად, როდესაც სასანიანთა ირანში ნერსემ (293-302 წწ.) შეწყვიტა მანიქეველების დევნა და მისი მიმდევრები დაუშვა მეფის კარზე, რომში დიოკლეტიანემ 297 წ. 31 მარტს მანიქეველების წინააღმდეგ გამოაქვეყნა ედიქტი, რომელიც რიგ საინტერესო მომენტს შეიცავდა: რომ მანიქეველობა რომში სპარსეთიდან შეიჭრა და რომ ეს შეამბოხეთა სექტაა... (Cod. Greg., XIV,4). ამ ორ ცეცხლს შორის აღმოჩნდა ქართლის სამეფო III-IV სს-ში, რაც აისახა კიდევ ქართლის მატერიალურ-კულტურულ ძეგლებზე.

არსებული წყაროების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ იბერიის პოლიტიკური ორიენტაცია გვიან ანტიკური ხანის განმავლობაში დასავლეთისკენ არის მიმართული. ეს პროცესი საუკუნეების მანძილზე სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო მეტნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობდა. ქართლის მეფეები საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობენ ორი მსოფლიო იმპერიისაგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას. ხდებიან იმ სახელმწიფოს

სტრატეგიული მოკავშირეები, რომელიც მათი ქვეყნის ინტერესებს შეესაბამებოდა.

იბერიაში მიმდინარეობს „რომანიზაციის“ პროცესი, რასაც ყველანაირად უწყობს ხელს რომის იმპერია. არქეოლოგიური მასალების შეჯერების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იბერიის სამეფოში „რომანიზაციის“ პროცესმა ვერ მიიღო ფართო მასშტაბები. არტეფაქტების მრავალმხრივი ანალიზი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მიუხედავად გეგმაზომიერი იმპერიული პოლიტიკისა, ახ. წ. I-III სს-ში „რომანიზაციის“ პროცესი იბერიის მოსახლეობის საშუალო და დაბალ ფენებს ნაკლებად შეეხო. ის ქვეყნის მმართველი ზედა ფენებისთვის ჩანს დამახასითებელი. მაგრამ იმავდროულად, ქართლის მეფეები საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობდნენ დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას. ისევე როგორც რომის აღმოსავლეთ პროვინციებში, ქართლში დიპლომატიკურ ურთიერთობათა ძირითად საშუალებას ბერძნული ენა წარმოადგენდა. ქართლის რომის მცირეაზიულ პროვინციებთან სამსაუკუნოვანმა მეზობლობამ ხელი შეუწყო რომსა და ქართლს შორის მჭიდრო კავშირსა და ინტეგრაციულ პროცესებს.

ლიტერატურა

1. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ. წ. III საუკუნისა – აკლდამა 905, მცხეთა XI, 1996, გვ. 22-23. ტაბ. XXXIIგ.
2. აფაქიძე ა., ყიფიანი გ., ნიკოლაიშვილი ვ., მანჯგალაძე გ., კაპანაძე მ., სვეტიცხოვლის ეზოში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები, VI სამეცნიერო სესია. 2001 და 2002 წწ. საველე არქეოლოგიური კვლევების შედეგები, თბ., 2003, გვ. 81-123.
3. ბრაუნდი დ., საქართველო ანტიკურ ხანაში კოლხეთისა და ამიერკავკასიის იბერიის ისტორია ძვ.წ.550-ახ.წ. 562 წწ. ბათუმი, 2014 (თარგმანი ოქსფორდის გამოცემისა).
4. ბრაუნდი დ., ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ., საგანძური ზღუდერიდან – ელიტარული სამარხები კავკასიისიბერიიდან რომაულ ხანაში, 2009.
5. ლორთქიფანიძე გ., ნონეშვილი ა., რომის მოქალაქე (Civitas Romana) ქართველები ახ. წ. II-IV სს-ში, ქართული პოლიტიკა №1, 2013, გვ. 90-95.
6. მშვილდაძე მ., აფროდიტეს კულტის გავრცელების საკითხისათვის ქართლში/იბერიაში (ურბნისი) თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IX, თბ., 2015, გვ. 20-30.
7. ყაუხჩიშვილი თ., ბერძნულწარწერიანი ნივთები მცხეთიდან, VI სამეცნიერო სესია. 2001 და 2002 წწ. საველე არქეოლოგიური კვლევების შედეგები, თბ., 2003, გვ. 124-129.
8. Дьячков С.В. Римские граждане в Северном Причерноморье // Античный мир. Византия. Харьков. 1997.
9. Луконин В.Г. Культура сасанидского Ирана (Иран в III-V вв. Очерки по истории культуры), М., 1969.
10. Меликишвили Г. А., Усиление Картлийского царства (Иберия) в I-III вв. н. э. Очерки истории Грузии, Тбилиси 1989 т. I.
11. Перевалов С. М., Арриан у восток Кавказа, Проблемы истории, филологии, культуры (ПИФК), X, Москва-Могнитогорск, 2001, с. 282-289.
12. Сестон В. Римское гражданство. М., 1970 (XIII Международный конгресс ист. наук. Москва, 16-23 августа 1970 г.: Докл.). С. 5-9.

13. Циркин Ю. Б. Император Тацит, *Studia historica*. IX, М., 2009. gv. 127 (124-137.).
14. Apakidze A., Kipiani G., Nikolaishvili V., A Rich Burial from Mtsketa (Caucasian Iberian), *Phasis, Greek and Roman Studies*, vol 7, Tbilisi, 2004, pp.104-121.
15. Joannis Lydi *De magistratibus populi romani libri tres*, Ed. R. Wünsch. Lipsiae, 1903.
16. Göbl R. *Die Munzprägung des Kaisers Aurelianus*. Wien, 1993, gv. 29-30
17. Watson, Alaric, *Aurelian and the Third Century*. London, 1999.

Guram Lortkifanidze

**Culturological Aspects of
Kartli (Iberia) “Romanization” (I-III c.)**

Iberia of Greek and Roman written sources, Kingdom of Kartli was within the Roman Empire strategic interests sphere due to its geopolitical location in I-III centuries A.D. This circumstance is clearly shown on Roman military maps of the late ancient ages. Important trade communications of the Silk Road intersected Iberia. Maintenance of their safety was within political and economical interests of the Roman Empire. Besides, Iberians were named “friends of the Roman people and Cesar” and exhorted to ensure safety of the empire far borders; arrange ancillary troops and close canyons of the North Caucasus against nomads’ assaults, which required for significant material expenditures incurring and protective constructions restoration and building.

Kingdom of Iberia was considered Pax Romana from I century A.D. Naturally, the country was subject to control of the empire military forces, legions Besides the military forces, equal importance was attached to purposeful ideologic policy, so called „cultural expansion“. The Roman Empire tried to make ideological influence not only on provinces,

which it were annexed long before, but also upon Eastern affiliated kings. Their „Romanization“ was within social, political and economical interests of the Empire. Ideologic essence of „Romanization“ has been manifested especially clearly since Octavius Augustus (27 B.C.- 14 A.D.) epoch.

Written sources and archeological artefacts detected in Georgia for recent years show that „Romanization“ of Kartli ruling circles reached high degree in I-III centuries. They had tight relationships with the Roman nobilities, maybe even dynastic connections. Royal army of Kartli was arranged and armed in the Roman manner. Therefore, we may suppose that its separate divisions were ruled by orders made in writing. City of Dzalisa, which was located on Mukhrani valley close to Mtskheta, was mentioned by Ptolemeo as a town arranged on the Roman urban planning principle. Atrium palace complex, temple, mosaic Roman thermae with swimming pools, lead water sewerage network, typical legion barrackcs and citadels are discovered here. Commodities, luxury articles, silver and gold dishes of the Roman origin occur in Kartli. They include objects of a religious cult, jars, jewelry, necklaces, etc. Roman silver (denner) and gold (aureus) coins consisted grounds of the monetary circulation.

Local imitations appear, too. Roman emperors ofetn awarded kings and ruling elite of Kartli Pitiaksh-Eristavi with expensive presents. Such expensive emperors' presents are known from Zguder, Armaziskhevi, Samtavro and Bagineti burials. Archeological materials confirm that education level in Kartli was quite high in I-III centuries A.D. Writing implements, bronze, silver and gold inkstands, including wares made in Kalpurnius famous workshop of Rome were found in the royal sepulchre.

Kings of Kartli who were allies (socii) of the Roman Empire were assigned with honorable title of Roman citizens (Civitas Romana) for their merits before the Empire. Usually Roman senate celebrated this event pageantly. Flavius Dade, Publius Agrippa and III century A. D. king Ustamus Evgenios were holders of the title. This name is engraved in Greek on a gold plate, which was found in Svetitskhoveli court in 2001 in a rich shrine #14.

A woman over 50 buried in this shrine had a gem ring with Greek inscription Ulpia-Ruler. Most likely, the queen of Kartli was given this roayl ring by a Roman Emperor Avrelianus (270-275). Two months after her spouse Ulpia Severina was killed she ruled the

empire as a matter of fact. We may see gold coins with her portrait where she is named Juno and Venus. However, she being a woman was not entitled to rule the country.

Nature of Iberia „Romanization“ process is clearly shown with Iberia pantheon iconography. Images of gods such as Juno, Demetra, Diana, Mars, Nike, Tihe-Fortuna, Aphrodite-Venus, etc. occur in Kingdom of Iberia. They are mainly imaged on gliptic monuments and testify their owner’s personal beliefs and views.

Proceeding from archeological materials, we may conclude that the „Romanization“ process, which took place in I-III centuries did not affect middle and low layers of Iberians widely. It affected mainly ruling layers of the country.

Лорткипанидзе Г.,

Мшвилдадзе М.

Культурологический аспект процесса «романизаций» Картлийского (Иберия) царства

По греко-римским письменным источникам I-III вв. н. э. Иберия – Картлийское царство благодаря своему геополитическому расположению, попала в сферу стратегических интересов Римской империи. Этот процесс хорошо отразился на римских картах позднеантичного времени. На Иберию проходили важные торговые коммуникаций «шелкового пути». Гарантия их безопасности и благоустройство входило в политико-экономические интересы Римской империи. Кроме этого, названные сенатом «друзьями римлян и цезаря» иберы, должны были обеспечить безопасность отдалённых границ империи, вывести войска и охранять их от набегов номадов, что со своей стороны требовало серьёзных материальных средств, строительство и восстановление инфраструктур.

Картлийское царство в пространстве „Pax Romana“ подразумевается с I в. н. э.. Естественно, страна подчинялась контролю имперских вооружённых сил. В месте с вооруженными силами немаловажное значение имела идеологическая политика, т.н. «культурная экспансия». Римская империя старалась своё идеологическое воздействие распространять не только на захваченные провинций но и на восточных царей. Их «романизация» входила в социально-экономические и политические интересы империи. Особенно выразилась идеологическая суть «романизации» в правлении Октавиана Августа (14 г. до н. э.-27 г. н.э.).

Письменные источники и археологические артефакты выявленные в последние годы, показывают как далеко зашло I-III вв. н. э. взаимоотношение картлийской элиты с Римским миром. Не исключено, что были династические связи с римским нобилитетом. В традициях римского градостроительного принципа около Мцхета был построен город Дзалиса, упоминающийся в книге Птолема (Geographike Huphegesis). Здесь выявлены: дворцовый комплекс с атриумом, мозаичные римские термы с бассейном, типичные римские казармы, цитадель... В Картли распространяются изделия роскоши и массового употребления, металлические драгоценные столовые изделия среди которых были предметы религиозного предназначения палатки и кувшины, ювелирные изделия, украшения и др. В Картли в обращение были римские серебряные динары и золотые монеты (ауреусы). Римские императоры часто награждали картлийских царей и представителей элиты дорогими подарками. Такие дорогие императорские награды выявлены в гробницах Згудери, Армазисхеви, Самтавро и Багинеты. Археологические материалы свидетельствуют, что I-III вв. н. э. уровень образования в Иберии был достаточно высок. Письменные принадлежности, золотые, серебряные и бронзовые чернильницы, в том числе из знатной Кальпурнийской мастерской выявлены на самтаврском могильнике.


За заслугу перед Римской империей его союзники (socii) Картлийские цари имели почётное звание - Гражданин Рима. Владельцами этого титула были „Флавиус Даде“, „Публиус Агрипа“ и неизвестный до археологических открытий царь III в. н. э. „Устамус Эвгениос.“ Это имя вырезано на золотой пластине греческими буквами, которая было выявлено около собора Светицховели в 2001 году в богатой гробнице, в которой была похоронена женщина за 50 лет. В гробнице также найден перстень с сердоликовым резным камнем с подписью «Царица Улпия – Повелительница». Видно что этот перстень член картлийской царской семьи получила от римской императрицы Ульпии Северины (Ulpia Severina), жены Аврелиана (270-275 гг.), которая правила римской империей несколько месяцев после смерти мужа. Известны римские монеты с портретами Ульпии Северины на которых её называют «Юноной» и «Венерой» вопреки римским законом, по которым женщина не имела право править государством.

Процесс «романизации» Иберии отразился и на иконографии иберийского языческого пантеона. В Картлийское царство распространяются изображения таких Греко-Римских божеств как: Юнона, Деметра, Диана, Марс, Тиха-Фортуна, Афродита-

Венера и др. Оны в большинстве изображены на резных камнях, которые в свою очередь показывают на религиозную ориентацию владельца.

После изучения археологического материала можно прийти к выводу, что в I-III вв. н. э. «романизация» характерна высшим слоям Иберийского царства. Этот процесс в меньшей мере коснулся средних и низких слоёв населения.

სურ.6



1. ოქროს საბეჭდავი; 2.ცილინდრის ფორმის სამელნე (საწერი მოწყობილობის ნაწილი და პენალი); 3. ოქროს ფირფიტა (საწერი მოწყობილობის ნაწილი და პენალი); 4-12. ოქროს საკიდები; 13.აქატის სანელსაცხებლე; 14-15.ოქროს მონეტა-საკიდი; 16, ოქროს საყურე; 17. ვერცხლის საწერი მოწყობილობა და პენელი; 18.ბრინჯაოს (სარკე) „ტაბულა“; 19. აქატის ფიალა; 20.მინის სასმისი; 21-22. მინის ჭურჭლის ფრაგმენტები; 23-24. რკინის ფიბულები; 25. ხის მასალის ფრაგმენტები; 26. მინის ჭურჭლის ფრაგმენტები.